ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N105

ბათუმი 19. 05. 2023წელი

ერთის მხრივ სსიპ ,,აჭარის მუზეუმი" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი **დირექტორის თეონა ზოიძის სახით** სახით და მეორეს მხრივ **ი/მ „კობა ფარტენაძე"** ს/ნ 61001043127 (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი - კობა ფარტენაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი")„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ან საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია მუზეუმებში კონდიციონერების დემონტაჟი-მონტაჟი და ამწეების მომსახურება (CPV-**45300000-1696ლარი, 45500000-300 ლარი)** შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით-დანართი #1-ს შესაბამისად

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **1996 (ათასცხრაასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი**

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3.4. დაფინანსების წყარო- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი**

4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 30 მაისის ჩათვლით პერიოდი.

4.2. მომსახურების გაწევის ადგილი-ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

5. მიღება - ჩაბარების წესი

5.1მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს - უფლებამოსილი პირი-ლოჯისტიკის კოორდინატორი შოთა აბაშიძე

5.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი-შოთა აბაშიძე

5.3. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულების 5.2. მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.2. თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელის იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
8.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შესაბამისი უფლებამისილი პირი;
8.3. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით - მომსახურების გაწევისას პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.
9.2. 12.1 პუნქტით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით.
9.3. პირგასამტეხლოს და ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია
დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გასწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ „აჭარის მუზეუმი“
ბათუმი, ხ. ახვლედიანის ქუჩა N4
საიდ.კოდი N 245769271
სახელმწიფო ხაზინა
დირექტორი
თეონა ზოიძე

მიმწოდებელი:
ი/მ „კობა ფარტენაძე“
ს/ნ 61001043127
სს „საქართველოს ბანკი“
ა/ნ GE40BG 0000 0005 4197 3331
კობა ფარტენაძე

Koba Phartenadze 61001043127

Digitally signed by Koba Phartenadze
Date: 2023.05.19 13:00:07

ფასების ცხრილი

დანართი N1

#	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი /ლ/	საერთო ფასი
1	რელიგიის მუზეუმში კონდიციონერის მონტაჟი	ცალი	2	150	300
2	კინო მუზეუმში კონდიციონერის დემონტაჟი	ცალი	12	83	996
3	ხარიტონ ახვლედიანის სახეობის მუზეუმში კონდიციონერეის გარე აგრეგატის დემონტაჟი-მონტაჟი	ცალი	1	400	400
4	ამწეკრანის მომსახურება	მომსახურება	1	300	300

ინ ფ ო რ მ ა ც ი ა

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 19 მაისი 2023 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ სსიპ „აჭარის მუზეუმი“-ს მიერ ი/მ „კობა ფარტენაძე“-სთან 2023 წლის 19 მაისს დადებულ N105 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი **/თეონა ზოიძე/**